

### **32. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1998 წლის 1 აპრილი.**

#### **საქართველოს პარლამენტის განცხადება**

დღეს, როდესაც სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ მოწყობილი გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად 300 ათასზე მეტი ადამიანი განდევნილია აფხაზეთის ტერიტორიიდან, თვითმარქვია აფხაზეთის რესპუბლიკის ე. წ. მთავრობა აპირებს სახელმწიფო ქონების მასობრივი პრივატიზაციის ჩატარებას.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სოხუმში შეიქმნა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი, რომლის მთავარი დანიშნულებაა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია – იმ სახელმწიფო ქონების გასხვისება, რომლის შექმნაშიც უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ამჟამად დევნილ მოსახლეობას.

საქართველოს პარლამენტი კატეგორიულად გმობს სეპარატისტული რეჟიმის პროვოკაციულ ქმედებას და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტისა და 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებების შესაბამისად იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია ყველა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და მიღებულია სეპარატისტული დაჯგუფების კონტროლს დაქვემდებარებული, ან მასთან ალიანსში მყოფი სტრუქტურების მიერ, აგრეთვე, ყველა გადაწყვეტილება და სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომელიც არღვევს სახელმწიფო საკუთრების უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მსოფლიო თანამეგობრობამ საქართველოს სახელმწიფო აღიარა მისი ძირძველი ტერიტორიით – აფხაზეთით, მაგრამ სეპარატისტების მიერ გაჩაღებული საომარი კონფლიქტის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით ვერ ვრცელდება საქართველოს ფაქტობრივი იურისდიქცია, რითაც განპირობებულია მათი მრავალი უკანონო ქმედება. უკანონობისკიდევ ერთი თავხედური გამოვლინებაა აფხაზეთში პრივატიზაციის ჩატარების მცდელობა.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ აღნიშნული ქმედება არის თვითნებური აქცია და მოუწოდებს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, არ გახდეს სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მორიგი ავანტიურის მსხვერპლი.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ აფხაზეთში პრივატიზაციის ჩატარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და მკვიდრი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის – ამჟამად იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შემდეგ.

საქართველოს პარლამენტი

**თბილისი, 1998 წლის 1 აპრილი.**

(აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999 წ. წ. ნაწილი I I. 1995-1999 წ. წ., ავტორები და სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, თბილისი, 2000, გვ. 201)